შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№642(I)/ 07. 03. 2017 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი V, "თელასი"-ს შენობის მომიჯნავედ (ნაკვეთი 13/59), საკადასტრო კოდით №01.11.10.013.059 არსებულ ორ სართულიან კომერციულ-სავაჭრო დანიშნულების შენობის ფართზე გათვალისწინებული დაშენების განხორციელების შესაძლებლობის კვლევა, შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობის და მდგრადობის პირობის გათვალისწინებით

თბილისი

2017 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი V, "თელასი"-ს შენობის მომიჯნავედ (ნაკვეთი 13/59), არსებულ მიწის ნაკვეთზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა ამჟამად არსებული ორ სართულიანი შენობის კონსტრუქციულ ელემენტებზე, ვინაიდან დამკვეთს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული აქვს ერთი სართულის დაშენება. აქედან გამომდინარე საჭიროა შევისწავლოთ არსებული შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა მდგრადობასა და საიმედოობაზე და განვსაზღვროთ შესაძლებელია თუ არა აღნიშნული სამუშაოების სისრულეში მოყვანა.

აღნიშნული შენობა ორ სართულიანი კომერციული დანიშნულებისაა. საპროექტო შენობის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ძირითადი და მზიდი საანგარიშო სქემა განხორციელებულია მონოლითური რკინა-ბეტონის საანგარიშო სქემით კარკასული ტიპის. შენობის საძირკველი დაფუძნებულია გეოლოგიური მონაცემებისა მიხედვით რბილპლასტიკურ თიხნარ გრუნტზე. შენობას გააჩნია სარდაფის სართული, სადაც არსებული მდგომარეობით დაცულია ყველა ის სამშენებლო ნორმები და პირობები, რაც შენობის მდგრადობისათვის აუცილებელი პირობაა. კოლონები და რიგელები მოლითური რკინა-ბეტონისაა სადაც სართულშუა გადახურვა მოწყობილია ორმაგად არმირებული რკინა-ბეტონის ფილებით, სახურავის გადახურვა ლითონის სტრუქტურული ფერმითაა მოწყობილი. როგორც შიდა ასევე გარე კონსტრუქციულ ელემენტებზე დაკვირვებით დავადგინეთ, საპროექტო დაშენება არ მოახდენს რაიმე სახის დეფორმაციებისა და დამაზინებელი ფაქტორების წარმოქმნას, ვინაიდან არსებული შენობის მდგრადობის პირობა დამაკმაყოფილებელია და არ აღინიშნება ისეთი სახის დეფორმაციები, ბზარები და ჯდენითი მოვლენები, რაც შენობის მდგრადობისა და საიმედოობის პირობას საფრთხეს შეუქმნიდა, თუმცა გამოვლინდა გარკვეული სახის კონსტრუქციული ფაქტორები: ვინაიდან შენობის გადახურვა განხორციელებულია ლითონის სტრუქტურული ფერმით, რომლის საანგარიშო სქემა და მახასიათებლები ამჟამინდელი მდგომარეობით მისაღებია, საპრექტო სამუშაოებთან მიმართებაში არ არის დამაკმაყოფილებელი. აქედან გამომდინარე აუცილებელი პირობაა ფერმის ნაცვლად მოეწყოს მსუბუქი თვითმზიდი გადახურვა, როგორიცაა ხის კოჭები ან მსუბუქი ლითონის გადახურვა. დაშენების

LEO LTD 404902496

კიარკასად რეკომენდირებულია მოეწყოს ლითონის მილკვადრატის სვეტები და რიგელები, რომლებიც არსებულ რიგელებთან ჩაანკერდეს უნდა ხისტად, ხოლო გადხურვა დასაშვებია როგორ ლითონის ასევე ხის ნივნივებითა და კოჭების წყობით. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით დასაშვებად მიგვაჩნია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად მესამე სართულის დაშენება, რომელიც უნდა განხორციელდეს მსუბუქი კონსტრუქციული საანგარიშო სქემით. შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილი სამუშაოებით არ დაირღვევა შენობის კონსტრუქციული და ტექნიკური მდგომარეობა, ვინაიდან შენობას კონსტრუქციული სქემა და მდგომარეობა საკმარისად ამტანუნარიანია წარმოდგენილ სამუშაოებთან მიმართებაში.

დასკვნა:

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ.თბილისი, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი V, "თელასი"-ს შენობის მომიჯნავედ (ნაკვეთი 13/59) საკ. კოდით №01.11.10.013.059 მიწის ნაკვეთზე არსებული ორ სართულიანი შენობის მზიდი დანიშნულების ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა, ზემოთ ხსენებულ გათვალისწინებულ სამუშაოებთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია, შესაბამისი რეკომენდაციების ფაგლებში. აქედან გამომდინარე სპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად გათვალისწინებული სამუშაოებით არ მოხდება შენობის მზიდუნარიანი ელემენტების რღვევა და კონსტრუქციული სქემის დაზიანება სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, ზემოთ ხსენებული მდგომარეობის და კონსტრუქციული გეგმარების ფარგლებში.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: